წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №3

ქ. წყალტუბო 7 თებერვალი, 2023 წელი

2023 წლის 7 თებერვალს, 13:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: კობა გურეშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: სერგო კირკიტაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი დოლიძე

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: არჩილ ღიბრაძე, მაკა ჭელიძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი;

წევრები: ვლადიმერ ხურცია, ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, დავით ხიდეშელი, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, თენგიზ გოგელია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, ნარგიზა ტყაბლაძე, გელა ბურჯალიანი, ნოდარ ასათიანი;

სხდომას არ ესწრებოდნენ: ჯეირან ომანაძე, ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, ავთანდილ მხეიძე, დევი დოლაბერიძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, ფიქრია ერემეიშვილი, ავთანდილ გაბუნია, გალაქტიონ ხარაბაძე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გრიგოლ ყურაშვილი,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი- მალხაზ ჩხეიძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი-გელა თათარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაია ბერაძე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა.

თეიმურაზ ჭეიშვილმა დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, რომ წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ თურქეთში მიწისძვრით დაღუპულთა ხსოვნისათვის .
საკრებულოს წევრებმა თურქეთში მიწისძვრით დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს,რის შემდეგაც თეიმურაზ ჭეიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/ მომხს: რევაზ დიდავა/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი .
მომხრე -28
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : გრიგოლ მაღლაფერიძემ დასვა შეკითხვა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხაზე ხომ არ მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის დამატება?
დასმულ შეკითხვას უპასუხა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გრიგოლ ყურაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე თანხები გაორმაგებული არ არის.ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილია 704 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდება სოფლის პროექტებს.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე- 28
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა

სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის სარეგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე